საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი დ. ც. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.12.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 107/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ პ. შ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. შ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორი პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 14 დეკემბერს საჩივრით მომართა ადვოკატმა დ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ პ. შ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატი დ. ც. დაესწრო 2023 წლის 23 იანვრის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ წერილობით საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 08 დეკემბერს, მისმა კოლეგამ - ზ. ს.-მ მის კუთვნილ „ფეისბუქ“ გვერდზე გამოაქვეყნა პ. შ.-ის აუდიო შეტყობინება, სადაც ჩანს, რომ ადვოკატი პ. შ. უკმაყოფილოა ზ. ს.-ის კომენტარით და მას უწოდებს საცოდავს, ხელმოცარულს, რეგვენს, ჰპირდება პოვნას, ემუქრება და აშანტაჟებს მას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ზ. ს.-ის პოსტიდან ირკვევა, რომ აუდიო ჩანაწერის 1:18 წუთზე, ადვოკატი პ. შ. ადვოკატ დ. ც.-ს მოიხსენიებს ტერმინით „ცალტვინა“. ადვოკატ დ. ც.-

ის განცხადებით, ზ. ს.-ის აღნიშნული პოსტი რამდენიმე წუთში ნახა 120-მა ადამიანმა და ცნობილი გახდა საზოგადოების ფართო წრისთვის.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 06 თებერვალს ადვოკატმა პ. შ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა კოლეგის შეურაცხყოფა, მითუმეტეს სახალხოდ. შესაბამისად, საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი პ. შ. დაესწრო 2023 წლის 06 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან ნამდვილად გაუგზავნა ხმოვანი შეტყობინება (ე.წ. „ვოისი“) ზ. ს.-ს, თუმცა აღნიშნული ხმოვანი შეტყობინება მიზნად არ ისახავდა ადვოკატ დ. ც.-ის შეურაცხყოფას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ადვოკატმა პ. შ.-მ ხმოვანი შეტყობინება პირად მიმოწერაში გაუგზავნა კოლეგას და მას ხმოვანი შეტყობინება არ გაუსაჯაროებია. ადვოკატის განმარტებით, სადავო შეტყობინება გამოაქვეყნა თავად ზ. ს.-მ, რაც მოგვიანებით საკუთარ „ფეისბუქ“ გვერდზე გააზიარა ადვოკატმა დ. ც.-მ. ადვოკატ პ. შ.-ის განცხადებით, მას რომ ხმოვანი ჩანაწერის გასაჯაროების მიზანი ჰქონოდა, თავად გამოაქვეყნებდა სადავო შეტყობინებას, რაც მას არ გაუკეთებია. 2023 წლის 06 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა პ. შ.-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სადავო სიტყვა ახსენა ზ. ს.-სთან კერძო საუბარში და მას ეს საუბარი არსად გამოუქვეყნებია, რასაც, ადვოკატის შეფასებით, არ უარყოფს თავად საჩივრის ავტორი. ადვოკატ პ. შ.-ის პოზიციით, მისი კერძო საუბრის თანხმობის გარეშე გასაჯაროება წარმოადგენს უკანონობას და სწორედ ზ. ს.-მ და დ. ც.-მ უნდა აგონ პასუხი.

2.3 ადვოკატ პ. შ.-ის განმარტებით, სიტყვა „ცალტვინა“ არ არის უხამსი და უწმაწური გამონათქვამი. აღნიშნული სიტყვა არის შეფასებითი კატეგორია და გამოხატავს სამედიცინო შემთხვევას, როდესაც ადამიანს აქვს ნახევარი ტვინი ან არის შეფასება, როგორც შესაბამისი პროფესიული წრთობის და განათლების არ მქონე.

2.4 ადვოკატ პ. შ.-ის განმარტებით, მისთვის გაუგებარია ადვოკატ დ. ც.-ის პრეტენზია, პ. შ.-ის მიერ ზ. ს.-ის მიმართ გაჟღერებულ ფრაზებზე. მოპასუხე ადვოკატის განცხადებით, თავად ზ. ს.-ს მის წინააღმდეგ არ მიუმართავს რომელიმე ორგანოსათვის.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი პ. შ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

3.2 ადვოკატმა დ. ც.-მ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 14 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს

კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა პ. შ.-მ ზ. ს.-სთან პირად საუბარში, აპლიკაციის „ფეისბუქ მესენჯერი“ გამოყენებით, დ. ც.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, უწოდა „ცალტვინა“ და ამავდროულად შეურაცხყოფა მიაყენა თავად ზ. ს.-ს, ემუქრებოდა და აშანტაჟებდა მას.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

„ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (ბ) მუხლი).

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

„ადვოკატი ვალდებულია პატივის სცეს თავის კოლეგას“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი; მუხლი 10.1).

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური საქმის შესწავლისას დადგინდა, რომ ადვოკატმა პ. შ.-მ ზ. ს.-ს გაუგზავნა პირადი შეტყობინება აპლიაკაცია „ფეისბუქ მესენჯერი“-ის საშუალებით. აღნიშნული შეტყობინება განკუთვნილი იყო მხოლოდ მისი ადრესატისათვის, ამ შემთხვევაში ზ. ს.-სათვის და მიზნად არ ისახავდა შეტყობინების საჯარო გავრცელებას. ადვოკატ პ. შ.-ს სადავო შეტყობინება საჯაროდ არ გაუვრცელებია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ პ. შ.-ის ქცევა შეაფასა კოლეგიალობის პრინციპისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის პრინციპების გათვალისწინებით.

5.4 საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები. აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს, რომ ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია და დაცულია მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისგან. აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულია როგორც სადენიანი (მ.შ. ოპტიკურბოჭკოვანი), ისე უსადენო (რადიოტალღებზე მომუშავე) ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემები. ამასთან, დაცვის სფეროში ხვდება მხოლოდ კონფიდენციალურად დამყარებული ურთიერთობა და არა იმგვარი კომუნიკაცია, რომელიც საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროების საშუალებით მყარდება და პირთა განუსაზღვრელი წრისკენ არის მიმართული (კომუნიკაცია რადიოს და ტელევიზიის საშუალებით და სხვ.) (იხ. H. Krüger, M. Pagenkopf, Art. 10, in: M. Sachs (Hrsg.), Grundgesetz: Kommentar, München 2003, Rn. 14 f.; B. Pieroth, B. Schlink, Grundrechte: Staatsrecht II, 18., neubearb. Aufl., Heidelberg 2002, Rn. 773 f.).

5.5 „ზოგადად, პირადი ცხოვრება გულისხმობს, ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს, უფლება პირად ცხოვრებაზე კი, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, იყოს დაცული და

უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისაგან. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რადგან საშუალებას აძლევს მას, კერძო სფეროში საზოგადოების ჩარევისა და ყურადღებისაგან თავისუფალ პირობებში მოახდინოს ინფორმაციის მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაზიარება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.12.2007 წლის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/407).

5.6 „პირადი ცხოვრებით დაცულია პირების კერძო სფერო (სივრცე). აქ იგულისხმება როგორც კონკრეტული ტერიტორია, ადგილი, ისე განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობებისათვის, ასევე საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში გასაჯაროებაც სურს პირს. კერძო პირად სივრცეს ადამიანი თავად ქმნის და აქვს მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ შერჩეულ, სასურველ ან მისთვის საჭირო საკითხებზე კომუნიკაცია მიუწვდომელი, ანონიმური, ხელშეუხებელი დარჩება ყველა იმ პირისათვის რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N1/2/519).

5.7 „თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემას, მასში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმამდე შემცირებას. ეს საზოგადოების არსებობის თანმდევი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომლის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი ყველას გააჩნია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 29.02.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N2/1/484).

5.8 „ადამიანის პირადი სივრცე გულისხმობს საკუთარ სოციუმზე ინდივიდუალური და დამოუკიდებელი არჩევანის ანონიმურობის უფლებასაც. ადამიანების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საკმარისი და ეფექტური გარანტიების არსებობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ძალიან მყარი შეგრძნება ანონიმურობისა, ადამიანების ნებისა და გადაწყვეტილების გარეშე, მათი კომუნიკაციის აბსოლუტური ხელმიუწვდომლობისა ნებისმიერი მესამე პირისთვის, სახელმწიფოს ჩათვლით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.04.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე N1/1/625, 640).

5.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ კოლეგის მიმართ ადვოკატის მოქმედება და კომუნიკაცია უნდა იყოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისი, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე შეიძლება შეექმნას ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში არსებულ ნდობას.

5.10 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.11 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატ პ. შ.-ის მიერ ზ. ს.-ისათვის აპლიკაცია „ფეისბუქ მესენჯერი“-ის საშუალებით პირადად გაგზავნილი

შეტყობინება სოციალური ქსელის „ფეისბუქ“-ის გამოყენებით გაავრცელა და საზოგადოების ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი გახადა პირადი შეტყობინების ადრესატმა - ზ. ს.-მ. ზ. ს.-ის „ფეისბუქ“ პოსტი მოგვიანებით გააზიარა საჩივრის ავტორმა. საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სადავო შეტყობინება, სადაც იკვეთება, რომ ადვოკატი პ. შ. პირადი კომუნიკაციისას გამოეხმაურა ზ. ს.-ის მიერ ადვოკატის მიმართ საჯაროდ გავრცელებულ კომენტარს, სადაც ზ. ს. ადვოკატ პ. შ.-ს მოიხსენიებდა ტერმინით „არაადეკვატური“.

5.12 ადვოკატ პ. შ.-ის მიერ, ზ. ს.-სათვის პირადად გაგზავნილი შეტყობინების შინაარსი, რომელიც მოგვიანებით გაასაჯაროეს ზ. ს.-მ და ადვოკატმა დ. ც.-მ, შემდეგნაირია: „ჩემს არაადეკვატურობაზე სანამ ილაპარაკებ ჯერ საკუთარ თავს შეხედე, რას გავხარ შე საცოდავო, ხელმოცარულო.... ჯერ საკუთარ თავს შეხედე ვინ ხარ, რისი შიში გაქვს.... როცა არ იცნობ ადამიანს საიდან წერ რომ არაადეკვატურია... გავიგებ ვინ ხარ და მაგ კომენტარს დაგილაგებ წინ. თუ ადვოკატი ხარ ვაი შენი ბრალი, ეთიკის კომისიაში შევხვდებით, თუ არ ხარ, სადაც ის ადმინისტრაციული ორგანო იქნება ვინც განგსჯის იქ შევხვდებით. ახლა აუყევი ცალტვინა დ. ც.-ს და იყბედეთ ერთად. იმის ჭკუის ხარ შენ და იმის დონის ხარ. რაც არის დ. ც. ის ხარ შენც, იმიტომ რომ დ. ც.-ის ძმაკაცი კარგი ვერ იქნება. კაცს რომელსაც არ მიცნობ, არ გიცნობ და მლანძღავ, უტიფარი ხარ, რეგვენი ხარ, აბა რა ხარ. წერე, განაგრძე და ყველაფერი იქნება სამართლებრივად რეაგირებული. დაგამტკიცებინებ ვინ არის არაადეკვატური და ვინ არა. უბრალოდ მაინტერესებდა ვინ იყავი და უნდა მეთქვა ეს ორი სიტყვა. სხვა რა უნდა გითხრა... დ. ც.-ის ძმაკაცს და მის ერთგულ თანამეინახეს, ადვოკატი რომელიც სააპელაციო სასამართლოში მხარედ გამოიყვანს მოსამართლეს...“.

5.13 კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ ადვოკატმა პ. შ.-მ გადაწყვეტილების 5.12 მუხლში მითითებული ფრაზეოლოგია გამოიყენა პირადი საუბრისას, სოციალური ქსელის საშუალებით გაგზავნილ პირად შეტყობინებაში, რაც მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ შეტყობინების ადრესატის მიმართ; არ ყოფილა საჯარო; ადვოკატის მიზანს არ წარმოადგენდა აღნიშნული შეტყობინების საზოგადოების ფართო წრისათვის გაცნობა და ადვოკატის მხრიდან სადავო შეტყობინება არ გამხდარა საჯარო. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია არ აფასებს ადვოკატსა და კერძო პირს შორის განხორციელებულ პირად კომუნიკაციას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომუნიკაციის დროს გამოყენებული ფრაზეოლოგია შესაძლოა იყოს მიუღებელი და რომელიც, გამოწვეული იყო შეტყობინების ადრესატისა და გამავრცელებლის - ზ. ს.-ის მიერ ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ საჯაროდ გაკეთებული კომენტარებით.

5.14 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №107/22 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ პ. შ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/